



საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის სამინისტრო



Empowered lives.  
Resilient nations.



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

## 2017 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study)

კვლევის ანგარიში მომზადებულია ISR-ის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის

კვლევის ანგარიში შედგენილია და გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისის (SDC) თვალსაზრისს.

დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

## შინაარსი

შესავალი .....	3
1. მონაცემთა წყარო და მეთოდოლოგია.....	4
2. ძირითადი მიგნებები .....	5
3. კვლევის შედეგები .....	8
3.1. კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები. ....	8
3.2. მიმდინარე საქმიანობა .....	17
3.3. სამომავლო გეგმები და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის შეფასება.....	32
3.4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი .....	36
დასკვნა.....	39

## შესავალი

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროფესიული განათლების ხარისხი და ხელი შეუწყო პროფესიული განათლების მიმზიდველობას, შედეგად იგი უკვე აღქმულია, როგორც პიროვნული და კარიერული ზრდის მნიშვნელოვანი გზა და დასაქმების ხელისშემწყობი ფაქტორი. აღნიშნულზე მიუთითებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებისთვის და პროვაიდერებისთვის პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ბაზარზე მათი წარმატებული ინტეგრაციაა.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაზე ორიენტირებული სამომავლო სტრატეგიების, ხედვებისა და აქტივობების დაგეგმვის მიზნით მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევის უზრუნველყოფა, რომელიც პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტებს, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს სანდო და ვალიდური კვლევით მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზონ დროის გარკვეულ პერიოდში პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა საქმიანობაზე, ხოლო კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები საფუძვლად დაუდონ პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული პროექტებისა თუ აქტივობების განხორციელებას.

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების მრავალმხრივ გამოყენების შესაძლებლობისა და ზოგადად, კვლევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ საფუძველი ჩაეყარა და 2014 წლიდან რეგულარულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. Tracer Study), რომელიც წარმოადგენს სამიზნე ჯგუფის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ რეტროსპექტულ ხედვას, ასევე შედეგების შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც მოიცავს იმ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ცვლილებების (პოზიტიური ან ნეგატიური; დაგეგმილი ან დაუგეგმავი) სისტემატურ ანალიზს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში დასაქმების კუთხით. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა). შეგროვებული მონაცემები მოიცავს როგორც კურსდამთავრებულთა შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე მათ აღქმებს და შეფასებებს.

## 1. მონაცემთა წყარო და მეთოდოლოგია

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (ე.წ. Tracer Study) მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს ისეთი საკითხების შესწავლა წარმოადგენს, როგორცაა:

- კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლებლით კმაყოფილება;
- კურსდამთავრებულთა სამომავლო საგანმანათლებლო გეგმები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე კურსდამთავრებულთა განათლების დონე;
- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება; დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
- კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.

კურსდამთავრებულთა კვლევა წელიწადში ერთხელ ტარდება და შეისწავლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გამოკითხვის მომენტისთვის სწავლა დაახლოებით 1 წლის დასრულებული აქვთ. კვლევა ეფუძნება სტანდარტიზებულ კითხვარს, რომელიც ადმინისტრირებულია სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით.

კურსდამთავრებულთა კვლევის მოცემული ეტაპი ჩატარდა 2018 წლის დეკემბერში და გამოიკითხა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2017 წლის კურსდამთავრებულები.

რესპონდენტთა შერჩევა მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა სრული მონაცემთა ბაზიდან შემთხვევითი პრინციპით. რეგიონისა და პროფესიული მიმართულებით რეპრეზენტატული მონაცემების მიღების მიზნით მოხდა შერჩევის ბაზის წინასწარი სტრატეგიული პრი პარამეტრით: რეგიონი და მიმართულება. სულ გამოიკითხა 642 კურსდამთავრებული.

## 2. ძირითადი მიგნებები

- კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (82%) ახლა რომ აბარებდეს აირჩევდა იგივე პროფესიას. ამასთან, კურსდამთავრებულთა შორის პროფესიული სასწავლებლით კმაყოფილების დონე საკმაოდ მაღალია. გამოკითხულთა 92%-მა განაცხადა - ახლა რომ იღებდეს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევასთან დაკავშირებით, იმავე არჩევანს გააკეთებდა.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა დიდ უმრავლესობას (92%) პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში არ უფიქრია სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე. გამოკითხულთა 8%, რომელთაც უფიქრიათ სწავლის შეწყვეტაზე, ამის ძირითად მიზეზებად დაასახელეს დასაქმება (20%) და ინტერესის დაკარგვა.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა საკმაოდ დიდ ნაწილს სასწავლებელში ჩაბარებამდე ჰქონდა გარკვეული შრომითი გამოცდილება: მათი 40% დასაქმებული იყო, 8% კი - თვითდასაქმებული.
- პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში უმრავლესობა (59%) არ მუშაობდა; 22% ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა, 13% - სრულ განაკვეთზე, ხოლო 7% პერიოდულად (სეზონურად) იყო დასაქმებული.
- სასწავლებლის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულთა მეოთხედმა (24%) გააგრძელა მუშაობა იქ, სადაც მანამდე მუშაობდა, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ 34%-ს საერთოდ არ დაუწყია მუშაობა.
- კურსდამთავრებულთა უმრავლესობას (65%) არავისგან არ მიუღია რჩევა დასაქმებასთან დაკავშირებით, ხოლო 19%-მა იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიიღო რჩევა, რომელიც დაამთავრა.
- კურსდამთავრებულთა თითქმის ნახევარი (49%) ამჟამად დაქირავებით დასაქმებულია, 11%-თვითდასაქმებულია, 7%-სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 4%-პროფესიულ სასწავლებელში ან უსდ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, 1% გადის სტაჟირებას/მუშაობს შეგირდად, ხოლო მესამედმა (32%) აღნიშნა რომ დაუსაქმებელია.
- კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდი ნაწილი 317 რესპონდენტი (49%) დაქირავებით დასაქმებულია ამჟამად. მათგან უმრავლესობა (72%) დასაქმებულია კერძო დაწესებულებაში, ხოლო მეოთხედი (25%) სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობს.
- დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების 62% მიმდინარე საქმიანობა მთლიანად (42%) ან ნაწილობრივ (20%) დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობასთან.
- დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 38% მუშაობის სპეციფიკა არ საჭიროებს მიღებულ კვალიფიკაციასა და ცოდნას. არაპროფილურად დასაქმების ყველაზე გავრცელებულ მიზეზებს წარმოადგენს ის, რომ კურსდამთავრებულმა არ მოძებნა შესაბამისი კვალიფიკაციის პოზიცია (21%) და რომ, მათივე მოსაზრებით, დაუფლებულ პროფესიაზე დაბალი მოთხოვნაა (20%). შედარებით დაბალი სიხშირით დასახელდა საკმარისი გამოცდილების არქონა - 13% და ხელფასის სიმცირე 11%.

- დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდმა ნაწილმა (64%) სამსახურის დაწყება დამოუკიდებლად შეძლო, მესამედს (33%) დაეხმარა ნაცნობ-მეგობარი, ხოლო 12%-ს სამსახური შესთავაზეს იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდნენ პრაქტიკას.
- დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა შორის სამუშაო სპეციფიკასა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას შორის კავშირი მაღალია - 61% აღნიშნავს, რომ სამუშაო მოთხოვნები და მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია; კურსდამთავრებულთა 23% თვლის, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია, ვიდრე სამუშაო მოთხოვნები, 4% არასაკმარისად მიიჩნევს კვალიფიკაციას, ხოლო 11%-მა აღნიშნა, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული სამუშაოსთან.
- დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა კმაყოფილება თავიანთი სამსახურით საკმაოდ მაღალია - 62% ერთმნიშვნელოვნად კმაყოფილია ამჟამინდელი სამუშაოთი, ხოლო 31% ნაწილობრივ.
- თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი (56%) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით საქმიანობს, 14% შემთხვევებში კი სამუშაოს სპეციფიკასა და კვალიფიკაციას შორის ნაწილობრივი კავშირი ფიქსირდება. საგულისხმოა, რომ თვითდასაქმებულთა 30% საქმიანობა არ არის კავშირში პროფესიულ სასწავლებელში მიღებულ კვალიფიკაციასთან.
- თვითდასაქმების მასტიმულირებელ მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია უკვე არსებული კერძო ბიზნესი (60%) და ასევე, მუდმივი დასაქმების შესაძლებლობების სიმცირე (40%).
- საქმიანობით კმაყოფილების მაჩვენებელი, ასევე, მაღალია თვითდასაქმებულთა შორისაც - მათ 68% აცხადებს, რომ კმაყოფილია ამჟამინდელი საქმიანობით - შინამეურნეობის / კერძო ბიზნესის განვითარებით.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების უმუშევარი კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, 66% აქტიურად ეძებს სამსახურს. დასაქმების ხელისშემშლელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია ვაკანტურ პოზიციებზე შემოთავაზებული ანაზღაურების სიმცირე (35%), მათ კვალიფიკაციასა და პროფესიაზე არსებული დაბალი მოთხოვნა (26%) და გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ვერ დაკმაყოფილება (24%).
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს ყველაზე მეტად უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლება სურთ (90%) / ასევე, მნიშვნელოვანია პროფესიული პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება (86%) და ზოგადი მართვის უნარების (საქმის წარმოების და ორგანიზების უნარის) გაუმჯობესება (83%).
- რაც შეეხება პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს, რომელთა გაუმჯობესებასაც ისურვებდნენ რესპონდენტები, ამ კუთხით დასაქმებაზე ზრუნვა დასახელდა ყველაზე მაღალი სიხშირით და კურსდამთავრებულთა 84%-მა მიუთითა, რომ ხსენებული ასპექტი საჭიროებს გაუმჯობესებას. გამოკითხულთა აზრით, ასევე მნიშვნელოვანია პრაქტიკული კურსების კომპონენტის გაძლიერება (69%), საკვანძო კომპეტენციების დაუფლების შესაძლებლობების გაძლიერება (57%), ზოგადად სწავლების / განათლების ხარისხის გაუმჯობესება (57%) და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა (56%).
- **პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი 60%-ია** (დასაქმებული, თვითდასაქმებული, ანაზღაურებად სტაჟირებაზე დასაქმებული). ამასთან,

აღსანიშნავია, რომ მამაკაცების დასაქმების მაჩვენებელი გარკვეულწილად უფრო მაღალია ვიდრე იგივე მაჩვენებელი ქალებში (შესაბამისად 64% და 55%).

- დასაქმების მაჩვენებელზე პოზიტიურად ზემოქმედებს წინმსწრები განათლების დონე. კერძოდ, რაც უფრო მაღალია კურსდამთავრებულთა განათლების წინმსწრები დონე, მით უფრო უფრო მაღალია დასაქმების მაჩვენებელი.
- ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი (70%) დაფიქსირდა 30-34 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ყველაზე დაბალი კი 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში (37%).
- მიმართულებების მიხედვით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება შემდეგ მიმართულებებზე: აგრარული მეცნიერებები, ინჟინერია, მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები (მაგ. ბარმენი, სასტუმრო საქმისმწარმოებელი, გიდი, ტუროპერატორი და სხვა) და ბიზნესის ადმინისტრირება.




### 3. კვლევის შედეგები

#### 3.1. კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები.


2018 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 642-მა კურსდამთავრებულმა. მათ შორის იყო 47% (300) კაცი, ხოლო 53% (342) ქალი.<sup>1</sup>

გრაფიკი #1 რესპონდენტების სქესი



გამოკითხულთა 96% ეროვნებით ქართველია, 2% სომეხია, ხოლო 1%-აზერბაიჯანელი. მათგან უმრავლესობას (83%) არ აქვს რაიმე ტიპის სოციალური სტატუსი. იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე კურსდამთავრებულების რაოდენობა თანაბარია და 6%-ს შეადგენს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 4%-ია, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა კურსდამთავრებულთა 2%.


გრაფიკი #2 რესპონდენტების ეროვნება



<sup>1</sup> გამოკითხულთა განაწილება სქესის მიხედვით არ შეესაბამება პოპულაციაში არსებულ განაწილებას ქალების მაღალი გამოპასუხების გამო. ანალიზის პროცესში განხორციელდა მონაცემთა შეწონვა, რის საფუძველზეც კვლევის შერჩევაში მოხდა ბუნებრივი პროპორციის აღდგენა.



**გრაფიკი #3 სოციალური სტატუსი**



გამოკითხული პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შორის ყველაზე დიდი წილით არიან წარმოდგენილი ინჟინერიის (160), აგრარული მეცნიერებების (121) და ბიზნეს ადმინისტრირების (106) მიმართულების კურსდამთავრებულები. მსხვილ მიმართულებებში გენდერული წარმომადგენლობა განსხვავდება სქესის მიხედვით. კერძოდ, ინჟინერიის კურსდამთავრებულთა 83% მამაკაცია, მაშინ, როცა ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (76%) ქალია. აგრარულ მეცნიერებებზეც მამაკაცები ჭარბობენ, თუმცა ქალების წილიც საკმაოდ მაღალია (44%).


**ცხრილი #1 კურსდამთავრებულთა განაწილება მიმართულებების მიხედვით სქესისა და ასაკის კრილში**

მიმართულება	სულ	სქესი		ასაკი						
		მდედრობითი	მამრობითი							
				15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+
აგრარული მეცნიერებანი	121	44%	56%	6%	38%	17%	15%	6%	4%	14%
ბიზნესის ადმინისტრირება	106	76%	24%	5%	31%	28%	16%	7%	7%	6%
განათლება	2*	100%								
ინჟინერია	160	17%	83%	17%	33%	19%	9%	7%	9%	6%
მეცნიერება / საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	3*		100%		100%					
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	60	42%	58%	3%	43%	22%	12%	10%	3%	7%
სამართალი	28	36%	64%		60%	30%	10%			
სოციალური მეცნიერებები	14*	80%	20%		80%	20%				
ხელოვნება	86	89%	11%	4%	22%	15%	19%	14%	13%	13%
ჯანდაცვა	62	88%	13%	3%	36%	21%	12%	9%	12%	6%

\* მონაცემთა სიმცირის გამო შედეგების განზოგადება რეკომენდებული არ არის

კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის (43%) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე მიღწეული ყველაზე მაღალი საგანმანათლებლო საფეხური საშუალო განათლება იყო. საბაზისო განათლება ჰქონდა 13%-ს, პროფესიული 12%-ს, ხოლო უმაღლესი განათლება 33%-ს ჰქონდა მიღებული.

**გრაფიკი #4 მიღწეული განათლების დონე**




იმ მიზეზებს შორის, რომელთაც გავლენა ჰქონდათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების გადაწყვეტილებაზე, ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელდა საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა (საშუალო-4.71), პროფესიული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა (საშუალო-4.60), პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის მაღალი ხარისხი (საშუალო-4.5) და პროფესიულ პროგრამაზე სწავლის საფასურის არ არსებობა (საშუალო-4.36)

**ცხრილი #2 მიზეზები რომელთაც ჰქონდათ გავლენა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას**


	შეფასება 5 ქულიან სკალაზე
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებელ სახლთან სიახლოვე	3.16
პროფესიულ პროგრამაზე სწავლის საფასურის არ არსებობა/სწავლა უფასოა	4.36
პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების სიმარტივე	3.49
პროფესიულ პროგრამაზე სწავლის სიმარტივე	3.55
საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა	4.71
პროფესიული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა	4.60
პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის პრესტიჟულობა	4.16
პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის მაღალი ხარისხი	4.50
დასაქმების რეალური შესაძლებლობა	3.80
მშობლების/ახლობლების რჩევა	3.30

გამოკითხულ კურსდამთავრებულთა დიდ უმრავლესობას (92%) პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში არ უფიქრია სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე, დარჩენილ 8%-ს (50 რესპონდენტი) კი უფიქრია და ძირითად მიზეზებად დასახელეს ინტერესის დაკარგვა (20%) და დასაქმება (20%). თანაბარი 13%-იანი სიხშირით დასახელდა სხვა პროფესიით დაინტერესება და ოჯახური მდგომარეობა.

*გრაფიკი #5 პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში გიფიქრიათ თუ არა სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე?*




გრაფიკი #6 რა იყო მიზეზი, რის გამოც ფიქრობდით სწავლის შეწყვეტას?




პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში სწავლის შეწყვეტის/მიტოვების განწყობის თვალსაზრისით სქესის მიხედვით განსხვავებები არ დაფიქსირდა - ქალებისა და მამაკაცების თანაბარი რაოდენობა აცხადებს, რომ უფიქრია სწავლის მიტოვებაზე; თუმცა, საგულისხმოა, რომ ქალების შემთხვევაში სწავლის შეწყვეტის მოტივატორი მეტწილად ოჯახური მდგომარეობა და პარალელური სასწავლო აქტივობებია, მაშინ როცა მამაკაცები ყურადღებას ამახვილებენ ინტერესის დაკარგვაზე. რაც შეეხება ასაკის ჭრილში მონაცემების ანალიზს, სწავლის შეწყვეტის განწყობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 20-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ფიქსირდება - ამ ასაკის კურსდამთავრებულთა 14% აცხადებს, რომ უფიქრია სწავლის მიტოვებაზე, მაშინ, როცა სხვა ასაკობრივ ჯგუფებში იგივე მაჩვენებელი ჯამური საშუალოს ტოლი ან მასზე ნაკლებია (8%).

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (82%) აცხადებს, რომ ახლა რომ იღებდეს გადაწყვეტილებას, აირჩევდა იგივე პროფესიას, დარჩენილი 18% არ აირჩევდა იგივე პროფესიას და ძირითად მიზეზებად დასახელდა ინტერესის დაკარგვა ამ პროფესიის მიმართ (48%) და აღნიშნული პროფესიით ვერ დასაქმება (22%). სხვა მიზეზების დასახელების სიხშირე დაბალია და არ აღემატება 7%-ს.

გრაფიკი #7 ახლა რომ აზარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას?




გრაფიკი #8 რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიას?




რაც შეეხება პროფესიული სასწავლებლის მიმართ დამოკიდებულებას. ამ შემთხვევაში უკმაყოფილების დონე შედარებით დაბალია და მხოლოდ 8%-მა (47 რესპონდენტი) განაცხადა, რომ არ აირჩევდა იგივე პროფესიულ სასწავლებელს. მათ შორის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზებია; სწავლების დაბალი დონე (30%) და ნაკლები პერსპექტიულობა დასაქმების კუთხით (18%); თანაბარი 15%-იანი სიხშირით დასახელდა პრაქტიკის კომპონენტის დაბალი დონე და ლექტორების არაკვალიფიციურობა.

გრაფიკი #9 ახლს რომ აბარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიულ სასწავლებელს?




გრაფიკი #10 რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიულ სასწავლებელს? (შესაძლებელია აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)




პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა გამოკითხულთა 40%. უმუშევარი იყო 31%. სწავლობდა 26%, ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი (8%) თვითდასაქმებული იყო.

*გრაფიკი #11 რას საქმიანობდით პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში?*



პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში უმრავლესობა (59%) არ მუშაობდა. დასაქმებულთაგან ყველაზე მეტად დასახელდა ნახევარ განაკვეთზე მუშაობა (22%), სრულ განაკვეთზე 13% მუშაობდა, 7% პერიოდულად (სეზონურად) იყო დასაქმებული.


*გრაფიკი #12 მუშაობდით თუ არა პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში?*



პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა მეოთხედმა (24%) გააგრძელა მუშაობა იქ, სადაც მანამდე მუშაობდა, 34%-ს კი საერთოდ არ დაუწყია მუშაობა.




**გრაფიკი #13 პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ დაიწყეთ თუ არა მუშაობა?**



სწავლის შემდგომი საქმიანობის თვალსაზრისით სქესის მიხედვით სხვაობები არ გამოვლენილა. თუმცა, განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის გამოცდილება. კერძოდ, ძველ სამსახურში დაბრუნების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა 30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში; 15-19 წლის კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტს (55%) კი საერთოდ არა აქვს დასაქმების გამოცდილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ კურსდამთავრებულთა წილი, ვისაც სწავლის დასრულების შემდგომ საერთოდ არ დაუწყია მუშაობა, განსაკუთრებით მაღალია სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში და გურიაში (შესაბამისად: 53%, 45%, 41%), ყველაზე დაბალი კი აჭარასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში (შესაბამისად: 30%, 32%).

რაც შეეხება დაწესებულებებს, რომელთაგანაც კურსდამთავრებულებმა მიიღეს რჩევა დასაქმებასთან დაკავშირებით. უმრავლესობას (65%) არავისგან არ მიუღია რჩევა, ხოლო 19%-მა იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიიღო რჩევა, რომელიც დაამთავრა.


**გრაფიკი #14 რომელი დაწესებულებისგან მიიღეთ რჩევა დასაქმებასთან დაკავშირებით**



### 3.2. მიმდინარე საქმიანობა

კვლევის შედეგების მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა შრომით საქმიანობაშია ჩართული: ყოველი მეორე (49%) აცხადებს, რომ არის დაქირავებით დასაქმებული, ყოველი მეათე (11%) კი თვითდასაქმებულია. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი, 32% პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებისა ამ ეტაპზე დაუსაქმებელია. კურსდამთავრებულთა 7% სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 4% კი პროფესიულ სასწავლებელში ან უსდ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.


გრაფიკი #15 მიმდინარე საქმიანობა



დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი შედარებით მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში (შესაბამისად: 52%, 46%), თუმცა თვითდასაქმების თვალსაზრისით კვლევის ფარგლებში სქესის მიხედვით სხვაობები არ დაფიქსირებულა. გარდა ამისა, უმუშევრად / დაუსაქმებლად თავს ქალების უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს (35%), ვიდრე მამაკაცებისა (28%).


მათ შორის, ვინც მიმდინარე ეტაპზე სწავლობს უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურზე (გამოკითხულთა 7%), უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი ამჟამინდელი სპეციალობა მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც არის დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან (შესაბამისად, 36% და 19%).

*გრაფიკი #16 სპეციალობა [რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეუფლებით] არის თუ არა დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან? [რესპონდენტები, რომლებიც სწავლას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრძელებენ]*



უმაღლესი საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ კურსდამთავრებულთა 45%-მა აღნიშნა, რომ ეს პროფესია არ არის დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასთან. ამის მიზეზად კი ყველაზე ხშირად „ახალი ინტერესის გაჩენას“ ასახელებენ (11 რესპონდენტი).


*გრაფიკი #17 გთხოვთ, გვითხრათ სწავლის პროფილის შეცვლის მიზეზი: [რესპონდენტები, რომლებიც სწავლას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრძელებენ]*



როგორც ზემოთ აღინიშნა, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა 4% სწავლას აგრძელებს პროფესიულ სასწავლებელში/ ან უსდ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. მათი უმრავლესობა (24-დან 10 რესპონდენტი) აცხადებს, რომ სპეციალობა, რომელზეც ამჟამად სწავლობს მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია წინა სასწავლო პროგრამაზე მიღებულ სპეციალობასთან და მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ პროფილი შეიცვალა. რაც შეეხება პროფილის შეცვლის მიზეზებს, ამ შემთხვევაშიც აქცენტი კეთდება ახალი ინტერესების გაჩენაზე. საგულისხმოა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდი ნაწილი (49%, 317 რესპონდენტი) ამჟამად დასაქმებულია. როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა


უმრავლესობისათვის (72%) კერძო სექტორი წარმოადგენს დასაქმების წყაროს, ყოველი მეოთხე (25%) სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობს.

**გრაფიკი #18** რა ტიპის დაწესებულებაში მუშაობთ? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]




დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას (88%) სამუშაო პროცესში ჩაბმის მიზნით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ დასჭირდა, თუმცა მათგან 12%-ს (37 რესპონდენტი) მოუწია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება და უმეტეს შემთხვევაში დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) გადასვლა დასაქმების მიზნით. დასაქმების მიზნით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ყველაზე მეტად მოუწიათ სამცხე-ჯავახეთი რეგიონის წარმომადგენელ კურსდამთავრებულებს.

**გრაფიკი #19** დასაქმებისთვის მოგიწიათ თუ არა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]




საინტერესოა, რომ დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა დაკავშირებულია მათ ამჟამინდელ სამუშაოსთან: 42% ამბობს რომ მათი საქმიანობა პირდაპირ კავშირშია მიღებულ სპეციალობასთან, 20% კი აცხადებს, რომ მათი საქმიანობა ნაწილობრივ კავშირშია მიღებულ სპეციალობასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების 38% მუშაობს ისეთ სფეროში, რომელიც არ არის კავშირში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობასთან.

*გრაფიკი #20 დაკვირვებულია თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]*




არაპროფილურად დასაქმების ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზებია; არ დავინტერესებულვარ/არ მიცდია მოძებნა - 21% და დაუფლებულ პროფესიაზე დაბალი მოთხოვნა - 20%. შედარებით დაბალი სიხშირით დასახელდა საკმარისი გამოცდილების არქონა - 13% და ხელფასის სიმცირე - 11%. არაპროფილურად დასაქმებული კურსდამთავრებულების 7%-ს გაუჭირდა დაესახელებინა კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ არ მუშაობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეცილობის შესაბამისად.

გრაფიკი #21 გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი, რატომ ვერ/არ მუშაობთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით? [არაპროფილურად დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]




დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდმა ნაწილმა (64%) სამსახურის დაწყება დამოუკიდებლად შეძლო, მესამედს (33%) დაეხმარა ნაცნობ-მეგობარი, ხოლო 12%-ს სამსახური შესთავაზეს იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდნენ პრაქტიკას.

**გრაფიკი #22 ახლა ჩამოვითვლით სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ვერსიებს და გთხოვთ, გვითხრათ თქვენთვის შესაბამისი ყველა პასუხი. [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]**



საგულისხმოა, რომ ყოველი მესამე დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებული (34%) სამუშაო ხელშეკრულების გარეშე არის ჩაბმული შრომით ურთიერთობებში. რაც შეეხება ხელშეკრულების ხანგრძლივობას მათთვის, ვისაც დამსაქმებლებთან ურთიერთობა იურიდიულად აქვთ გაფორმებული, ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაა ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობა (32%).

**გრაფიკი #23 გთხოვთ, გვითხრათ, რა ხანგრძლივობის სამუშაო ხელშეკრულება გაქვთ? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]**






დაქირავებით დასაქმებული პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა საშუალო სამუშაო საათების რაოდენობა კვირის განმავლობაში 46 საათს შეადგენს.

დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 43%-ის საშუალო ყოველთვიური ხელფასი 200-დან 500 ლარამდეა, ყოველი მეოთხეს (26%) ანაზღაურება 501-800 ლარის ფარგლებში მერყეობს, 23%-ის შემთხვევაში კი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 801 ლარი და მეტია.


*გრაფიკი #24 დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო ხელფასი (ლარებში)?  
[დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]*



შემოსავლების თვალსაზრისით განსხვავებული სურათი იკვეთება სქესის ჭრილში. კერძოდ, 901 ლარი და მეტი ხელფასი დაქირავებით მამაკაცების 23% აქვს, მაშინ, როცა იგივე ანაზღაურებას დაქირავებით დასაქმებული ქალების მხოლოდ 7% იღებს; 300 ლარამდე ხელფასი კი ქალების 32% აქვს, როცა მამაკაცებში ეს მაჩვენებელი 9%.


რაც შეეხება ანაზღაურებას მიმართულებების მიხედვით, 900 ლარზე მაღალი ანაზღაურების ყველაზე დიდი მაჩვენებელი მიმართულებათშორისი დარგების კურსდამთავრებულებს აქვთ - ამ ჯგუფში გამოკითხულთა 39% ამბობს რომ მისი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 900 ლარს აღემატება, მაშინ, როცა სრული სამიზნე ერთობლიობის მხოლოდ 17% აქვს ასეთი ყოველთვიური შემოსავალი. როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, ჯანდაცვის მიმართულების კურსდამთავრებული დაქირავებული დასაქმებულების 40% საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება მხოლოდ 300 ლარამდეა და ასევე დიდია დაბალი ანაზღაურების მქონეთა წილი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების კურსდამთავრებულ დაქირავებულ დასაქმებულებში (27%).

*გრაფიკი #25 დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო ხელფასი (ლარებში)?  
[დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები / სქესის ჭრილი]*




რაც შეეხება საშუალო მოთხოვნებსა და კვალიფიკაციას შორის შესაბამისობას, უმეტეს შემთხვევაში (61%) ისინი თანხვედრაშია, კურსდამთავრებულთა 23% თვლის, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე საშუალო მოთხოვნები, 4% არასაკმარისად მიიჩნევს კვალიფიკაციას, ხოლო 11%-მა აღნიშნა, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული საშუალოსთან.

*გრაფიკი #26 როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და საშუალოს მოთხოვნების შესაბამისობას?  
[დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]*




კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ამჟამად დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა კმაყოფილება თავიანთი სამსახურით საკმაოდ მაღალია და მხოლოდ 7%-მა აღნიშნა, რომ არ არის კმაყოფილი სამსახურით. 62% კმაყოფილია ამჟამინდელი საშუაოთი, ხოლო 31%-მა ნაწილობრივი კმაყოფილება გამოხატა.

*გრაფიკი #27 კმაყოფილი ხართ თუ არა სამსახურით? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]*




როგორც ზემოთ აღინიშნა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ყოველი მეათე კურსდამთავრებული (11%, 67 რესპონდენტი) თვითდასაქმებულია. თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილს მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სამუშაოს მოთხოვნებიდან გამომდინარე მათ შორის ყველაზე მაღალია აჭარის რეგიონის წარმომადგენელთა წილი.

*გრაფიკი #28 შინამეურნეობის/კერძო ბიზნესის დაწყებისთვის მოგიწიათ თუ არა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა? [თვითდასაქმებული რესპონდენტები]*




ისე როგორც დასაქმებულთა შემთხვევაში, თვითდასაქმებულთა უმრავლესობაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით საქმიანობს. თვითდასაქმებული კურსდამთავრებულების 56% აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა პირდაპირ კავშირშია მიღებულ სპეციალობასთან, 14%-მა მიუთითა ნაწილობრივი კავშირის შესახებ. ყოველი მესამე (30%) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითდასაქმებული კურსდამთავრებული ჩაბმულია ისეთ შრომით საქმიანობაში, რომელიც კავშირში არ არის მიღებულ სპეციალობასთან.

გრაფიკი #29 დაკავშირებულია თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან? [თვითდასაქმებელი რესპონდენტები]




თვითდასაქმების ფარგლებში წარმოებული საქმიანობები საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, წამყვან მიმართულებას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს (27%).

გრაფიკი #30 თვითდასაქმების ფარგლებში, რა ტიპის მეურნეობაში ხართ ჩართული/რა ტიპის კერძო ბიზნესი გაქვთ? [თვითდასაქმებელი რესპონდენტები]




არაპროფილურად თვითდასაქმების მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება საკმარისი გამოცდილების არქონა და მათ პროფესიაზე დაბალი მოთხოვნა.

*გრაფიკი #31 გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი, რატომ ვერ/არ მუშაობთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით? [თვითდასაქმებული რესპონდენტები]*



რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, მართალია საკმაოდ დიდია მათი წილი (55%), ვისი საშუალო ყოველთვიური ხელფასი 500 ლარი და ნაკლებია, თუმცა, საგულისხმოა, რომ 900 ლარზე მეტი ანაზღაურება თვითდასაქმებულთა 28% აქვს, რაც გაცილებით მაღალია, ვიდრე იგივე მაჩვენებელი დასაქმებულთა სეგმენტში.

*გრაფიკი #32 დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი შინამეურნეობიდან (ლარებში)? [თვითდასაქმებული რესპონდენტები]*




ისევე როგორც დაქირავებით დასაქმების შემთხვევაში, თვითდასაქმებულთა შორისაც მამაკაცების საშუალო თვიური შემოსავალი აღემატება ქალების საშუალო შემოსავალს, თუმცა მონაცემთა სიმცირის გამო კვლევა არ იძლევა დეტალური ჭრილის წარმოდგენის საშუალებას.

რაც შეეხება ანაზღაურებას მიმართულებების მიხედვით, 900 ლარზე მაღალი ანაზღაურების ყველაზე დიდი მაჩვენებელი მიმართულებათშორისი დარგების კურსდამთავრებულებს აქვთ - ამ ჯგუფში გამოკითხულთა 39% ამბობს რომ მისი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 900 ლარს აღემატება, მაშინ, როცა სრული სამიზნე ერთობლიობის მხოლოდ 17% აქვს ასეთი ყოველთვიური შემოსავალი. როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, ჯანდაცვის მიმართულების კურსდამთავრებული დაქირავებული დასაქმებულების 40% საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება მხოლოდ 300 ლარამდეა და ასევე დიდია დაბალი ანაზღაურების მქონეთა წილი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების კურსდამთავრებულ დაქირავებულ დასაქმებულებში (27%).


როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, თვითდასაქმებულთა უმრავლესობას (60%) იმთავითვე ჰქონდა საკუთარი ბიზნესის დაწყების მოტივაცია, სანამ პროფესიულ განათლებას დაეუფლებოდა; 40%-მა კი მხოლოდ იმიტომ მიჰყო ხელი თვითდასაქმებას, რომ ვერ შეძლო შესაბამისი სამსახურის შოვნა.

*გრაფიკი #33 რატომ გადაწყვიტეთ შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის წამოწყება?  
[თვითდასაქმებული რესპონდენტები]*




თვითდასაქმებულებს უმეტეს წილად (22 რესპონდენტი) ჰქონდათ შესაბამისი პროფესიული განათლება და სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს კერძო ბიზნესში ჩართვა; 20-მა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ ყოველთვის ანიჭებდა უპირატესობას საკუთარ ბიზნესს, ხოლო 15 მათგანს კარგი საქმიანო კონტაქტები ჰქონდა, რაც იქცა ბიზნესის დაწყების წინაპირობად.

**გრაფიკი #34 რატომ გინდოდათ, რომ გქონოდათ შინამეურნეობა/საკუთარი ბიზნესი?**  
[თვითდასაქმებული რესპონდენტები]



რაც შეეხება თვითდასაქმებულთა კმაყოფილებას საკუთარი სტატუსით, მათი უმრავლესობა (68%) კმაყოფილია, რომ დაკავებულია კერძო ბიზნესით, 23% ნაწილობრივ კმაყოფილებას აფიქსირებს, და მხოლოდ 9% გამოთქვამს უკმაყოფილებას.

**გრაფიკი #35 კმაყოფილი ხართ თუ არა იმით, რომ გაქვთ შინამეურნეობა/საკუთარი ბიზნესი?**  
[თვითდასაქმებული რესპონდენტები]



კურსდამთავრებულთა ყველაზე მცირე ნაწილი 1% (6 რესპონდენტი) ამჟამად არის სტაჟიორი/შეგირდი. მათგან 5 კერძო დაწესებულებაშია დაკავებული ამ საქმიანობით, ხოლო 1 - სახელმწიფო დაწესებულებაში. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით გადის 3 მათგანი სტაჟირებას, შესაბამისად 3 არაპროფილურად.




1 მათგანს სტაჟირება შესთავაზეს იმ დაწესებულებაში, სადაც სწავლის დროს გადიოდა პრაქტიკას. დარჩენილმა 5-მა კი სხვა საშუალებით დაიწყო სტაჟირება. ანაზღაურებადი სტაჟირება მხოლოდ 1 შემთხვევაში ფიქსირდება.

რაც შეეხება კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას, სტაჟიორთაგან 4-მა აღნიშნა, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო მოთხოვნები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. 1 თვლის რომ მისი კვალიფიკაცია უფრო მაღალია, ვიდრე სამუშაო მოთხოვნები, ხოლო 1 რესპონდენტისთვის კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული მის სამუშაოსთან. კმაყოფილების კუთხით ყველა მათგანი კმაყოფილია სტაჟირებით.


პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა 32% (201 რესპონდენტი) ამჟამად დაუსაქმებელია და მათი უმრავლესობა (66%) ეძებს სამუშაოს.

*გრაფიკი #36 ეძებთ თუ არა ამჟამად სამუშაოს? [დაუსაქმებელი რესპონდენტები]*




დაუსაქმებელთა 34%-მა აღნიშნა, რომ არ ეძებს სამუშაოს, მიზეზებს შორის კი ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდა; შესატყვისი ოჯახური პირობების არქონა - 35%, სამსახურის მოძებნის სურვილის არქონა 10% და სწავლის გაგრძელების განზრახვა 10%.

**გრაფიკი #37 რატომ არ ეძებთ სამუშაოს? [დაუსაქმებელი რესპონდენტები]**



რაც შეეხება იმ კურსდამთავრებულებს (131 რესპონდენტი), რომლებიც ეძებენ, მაგრამ ვერ ახერხებენ სამუშაოს პოვნას. უმეტეს შემთხვევაში მათ მიზეზად დაასახელეს შემოთავაზებული ხელფასის სიმცირე (35%), მათ პროფესიაზე არსებული დაბალი მოთხოვნა (26%) და საკმარისი გამოცდილების არქონა (24%).


**გრაფიკი #38 როგორ ფიქრობთ, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ რატომ ვერ პოულობთ სამსახურს? [დაუსაქმებელი რესპონდენტები]**



### 3.3. სამომავლო გეგმები და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის შეფასება


გარდა მიმდინარე საქმიანობისა, კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა სამომავლო გეგმები. როგორც აღმოჩნდა, კურსდამთავრებულთა 43% გეგმავს სწავლის გაგრძელებას, 41% არ გეგმავს, ხოლო 16%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია.

გრაფიკი #39 გეგმავთ თუ არა სწავლის გაგრძელებას?



იმ ცოდნასა და უნარებში, რომელთა განვითარებასაც ისურვებდნენ კურსდამთავრებულები, ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდა უცხო ენის ცოდნა (90%), პროფესიული პრაქტიკული უნარები (86%) და საქმის წარმოების და ორგანიზების უნარი (83%).


გრაფიკი #40 ისურვებდით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და უნარების განვითარებას?




პროფესიული განათლების მიღების შემდეგ დამატებითი ტრენინგები გაიარა გამოკითხულთა 24%-მა. რაც შეეხება პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს, რომელთა გაუმჯობესებასაც ისურვებდნენ რესპონდენტები, ამ კუთხით დასაქმებაზე ზრუნვა დასახელდა

ყველაზე მაღალი სიხშირით და კურსდამთავრებულთა 84%-მა მიუთითა, რომ ხსენებული ასპექტი საჭიროებს გაუმჯობესებას. გამოკითხულთა აზრით, ყველაზე მეტად, აგრეთვე, გაუმჯობესებას საჭიროებს პრაქტიკული უნარები კომპონენტი (69%), საკვანძო კომპეტენციების დაუფლების შესაძლებლობა (57%), ზოგადად განათლების ხარისხი (57%) და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა (56%).

*გრაფიკი #41 გაიარეთ თუ არა დამატებითი ტრენინგები პროფესიული განათლების მიღების შემდეგ?*




გრაფიკი #42 ახლა ჩამოვითვლით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს. გთხოვთ, გვითხრათ, რომელი მათგანი საჭიროებს გაუმჯობესებას?



რაც შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების ზეგავლენას სამუშაოს დაწყების პროცესზე, გამოვითვლით ნახევარზე მეტის აზრით (55%), პროფესიული განათლების მიღება დასაქმების კარგი წინაპირობაა, ნაწილობრივ იზიარებს ამავე მოსაზრებას კურსდამთავრებულთა 40% და მხოლოდ 5% ფიქრობს, რომ პროფესიული განათლების მიღება არ ახდენს გავლენას დასაქმების შესაძლებლობებზე.

გრაფიკი #43 თქვენი აზრით, მთლიანობაში, პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას?



### 3.4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი


შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად და შესაბამისად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, დასაქმებულად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსების მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით.

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მთლიანი სურათის მიღების მიზნით, შეიქმნა დასაქმების კომბინირებული ცვლადი, რომელიც აერთიანებს დაქირავებით დასაქმებულ, თვითდასაქმებულ და სტაჟიორ/შეგირდ (ანაზღაურებადი სტაჟირება) კურსდამთავრებულებს. მიღებული ცვლადის საფუძველზე შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და სქესს, ასაკს, წინმსწრებ განათლებას, საგანმანათლებლო მიმართულებებს და ა.შ. შორის არსებული მიმართებები.

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელია 60%. მათ შორის, ქალი გამოკითხული რესპონდენტებიდან 55%-ია დასაქმებული, ხოლო მამაკაცებში დასაქმება შედარებით მაღალია და 64%-ს შეადგენს.

ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი (70%) დაფიქსირდა 30-34 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ყველაზე დაბალი კი 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში (37%).

გრაფიკი #44 დასაქმების მაჩვენებელი ასაკობრივ ჯგუფში




რაც უფრო მაღალია კურსდამთავრებულთა განათლების წინმსწრები დონე, მით უფრო მეტია დასაქმებულთა რაოდენობა. დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა საბაზისო განათლების მქონე პირებში (41.9%), დასაქმების მაჩვენებელი განათლების საფეხურის შესაბამისად



იზრდება და საშუალო განათლების შემთხვევაში - 59.4%-ია, პროფესიული განათლების შემთხვევაში - 62.4%, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების 68.5%-ია დასაქმებული.

*გრაფიკი #45 დასაქმების მაჩვენებელი წინმსწრები განათლების კრილში*



დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა იმერეთის რეგიონში (70%), რომელსაც მოსდევს კახეთი (66%) და თბილისი (64%). საერთო ჯამში, დასაქმების მაჩვენებელი არცერთ რეგიონში არ არის 50%-ზე ნაკლები.

*ცხრილი #3 დასაქმების მაჩვენებელი რეგიონის კრილში*

	დასაქმებული	
	N	%
აჭარა	41	50%
გურია	24	50%
თბილისი	106	63%
იმერეთი	52	70%
კახეთი	47	66%
მცხეთა-მთიანეთი	2*	100%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7*	50%
სამეგრელო ზემო სვანეთი	31	53%
სამცხე-ჯავახეთი	17*	50%
ქვემო ქართლი	15*	55%
შიდა ქართლი	39	60%

\* მონაცემთა სიმცირის გამო შედეგების განზოგადება რეკომენდებული არ არის

რაც შეეხება მიმართულებების მიხედვით დასაქმების მაჩვენებლს, სხვა ჯგუფებთან შედარებით მაღალია დასაქმება აგრარული მეცნიერებების (64%) და ინჟინერიის მიმართულების (61%) კურსდამთავრებულებს შორის.

*ცხრილი #4 დასაქმების მაჩვენებელი მიმართულების ჭრილში*

	დასაქმებული	
	N	%
აგრარული მეცნიერებანი	78	64%
ბიზნესის ადმინისტრირება	61	58%
განათლება	2*	100%
ინჟინერია	97	61%
მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	1*	33%
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	35	58%
სამართალი	14*	50%
სოციალური მეცნიერებები	11*	79%
ხელოვნება	47	55%
ჯანდაცვა	35	56%

*\* მონაცემთა სიმცირის გამო შედეგების განზოგადება რეკომენდებული არ არის*

## დასკვნა

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებს და პროვაიდერებს საშუალებას აძლევს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზონ პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე დროითი მონაკვეთების ჭრილში.

2017 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი 60%-ია. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილია 2016 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მსგავს მონაცემთან შედარებით (56.2%).

დასაქმების მაჩვენებელი განსხვავდება კურსდამთავრებულთა ასაკის, სქესის, საგანმანათლებლო მიმართულებებისა და წინმსწრები განათლების მიხედვით. პროფესიული განათლების მიღებით ყველაზე მეტად დაინტერესებულები არიან ახალგაზრდები, თუმცა დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში. სქესი ნიშნის მიხედვით დასაქმებულთა შორის უმრავლესობა მამაკაცია. გამოკითხულ მამაკაცთა 64% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, ხოლო ქალი გამოკითხულებიდან 55%-ია დასაქმებული. დასაქმების შედარებით დაბალი პროცენტი ქალებში შეიძლება აიხსნას სხვადასხვა მიზეზით და ერთ-ერთი ძირითადი შესაძლოა იყოს ოჯახური მდგომარეობა. კერძოდ, უმუშევარი ქალების უმრავლესობა კვლევის ფარგლებში აღნიშნავდა, რომ სამსახურს არ ეძებდა ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე მაგ., იმყოფება დეკრეტში, ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი და სხვა. დასაქმების მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა აგრარული მეცნიერებების, ინჟინერიის, მიმართულებათა შორისი დარგები ან სპეციალობების (მაგ. ბარმენი, სასტუმრო საქმისმწარმოებელი, გიდი, ტუროპერატორი და სხვა) და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებზე.

რაც შეეხება, კურსდამთავრებულთა კმაყოფილებას პროფესიული განათლებით, მათი უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული პროფესიული განათლებით და დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას, თუმცა ასევე უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დასაქმებაზე ზრუნვა, პრაქტიკული კურსები და განათლების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას.